

**„ლიბერთი ბანკი“ 2010 წლის პირველი კვარტლის კონსოლიდირებულ შედეგებს აცხადებს**

დღეს „ლიბერთი ბანკმა“ (შემდგომში “ბანკი”) 2010 წლის პირველი კვარტლის კონსოლიდირებული შედეგები გამოაცხადა. ბანკის კონსოლიდირებულმა წმინდა მოგება 2010 წლის პირველ კვარტალში 0.1 მილიონი ლარი შეადგინა.

2010 წლის პირველ კვარტალში ბანკმა 72.3 მილიონი ლარის ოდენობის, ხოლო 2009 წლის მეოთხე კვარტალში 64.2 მილიონი ლარის მოცულობის სესხი გასცა. ჯამში ბანკმა 2009 წლის სექტემბერში მისი „ლიბერთი კაპიტალის“ მიერ შესყიდვიდან მოყოლებული დღემდე 136.5 მილიონი ლარის ოდენობის სესხი გასცა.

2009 წლის სექტემბრიდან მოყოლებული დღემდე ბანკმა თითქმის ყველა პარამეტრის მიხედვით გადაუსწრო მთლიანად საბანკო სექტორის ზრდას. 2010 წლის 31 მარტის მდგომარეობით ბანკის მთლიანმა აქტივებმა 362.4 მილიონი ლარი შეადგინა და ექვსი თვის განმავლობაში 29.6%-ით გაიზარდა, ხოლო მთლიანად საბანკო სექტორის აქტივები 7.6%-ით გაიზარდა. ბანკის წმინდა საკრედიტო პორტფელი 2010 წლის 31 მარტის მდგომარეობით 101.7 მილიონ ლარს გაუტოლდა და ექვსი თვის განმავლობაში 29.8%-ით გაიზარდა, ხოლო მთლიანად საბანკო სექტორის წმინდა საკრედიტო პორტფელი 3.5%-ით გაიზარდა. ბანკის კლიენტების დეპოზიტები 2010 წლის 31 მარტის მდგომარეობით 232.2 მილიონ ლარს გაუტოლდა და ექვსი თვის განმავლობაში 49.4%-ით გაიზარდა, ხოლო მთლიანად საბანკო სექტორის კლიენტების დეპოზიტები 17.4%-ით გაიზარდა.

2010 წლის 31 მარტის მდგომარეობით ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 4.3%, მთლიანი სესხების მიხედვით 2.2% და კლიენტების დეპოზიტების მიხედვით 6.6% შეადგინა.

„მოხარული ვარ, რომ ბანკმა რესტრუქტურისაციის ასეთ ადრეულ ეტაპზე მოგების დაწერა შეძლო. ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. მას შემდეგ, რაც 2009 წლის სექტემბერში ბანკი შევიძინეთ ჩვენი საბალანსო მონაცემები მთლიანად საბანკო სექტორზე უფრო სწრაფად იზრდება. უნდა ითქვას, რომ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. 2010 წლის მეორე კვარტალში ჩვენ ძირითად აქცენტს ახალი სამომხმარებლო პროდუქტების შეთავაზებასა და კორპორატიული სესხების ინტენსიურ გაცემაზე გავაკეთებთ”, აღნიშნა **ლადო გურგენიძე**, „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა და სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა.

**„ლიბერთი ბანკის“ შესახებ**

„ლიბერთი ბანკი“ (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2010 წლის 31 მარტის მდგომარეობით 4.3% შეადგინა (2009 წლის სექტემბერში ბანკის საბაზრო წილი მთლიანი აქტივების მიხედვით 3.5% იყო). „ლიბერთი ბანკს“ 180 ფილიალისგან შემდგარი ყველაზე დიდი ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 26,000-ზე მეტ ბიზნეს-პარტნიორს უწყვეტ მომსახურებას. 2009 წლის სექტემბერში „ლიბერთი კაპიტალმა“ ბანკის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა და მისი რესტრუქტურისაცია დაიწყო.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) ან [www.peoplesbank.ge](http://www.peoplesbank.ge) ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს  
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი  
ტელეფონი: +995 99 477 272  
ელ-ფოსტა: [lado.gurgenidze@libertybank.ge](mailto:lado.gurgenidze@libertybank.ge)

თამუნა გუნიას  
ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი  
ტელეფონი: +995 91 20 55 11  
ელ-ფოსტა: [ir@libertybank.ge](mailto:ir@libertybank.ge)

**“ლიბერთი ინვესტიმენტის” შესახებ**

“ლიბერთი ინვესტიმენტს” 2009 წლის სექტემბერში დაარსებული საინვესტიციო კომპანიაა. იგი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს შზარდი ბაზრების ფინანსურ სექტორში. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან დინუ პატრიჩიუ და ლადო გურგენიძე. “ლიბერთი ინვესტიმენტ” ინვესტიციებს ახორციელებს ისეთ შზარდ ბაზრებზე, სადაც არის ღია, ლიბერალური ეკონომიკა, საიმედო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის მაღალი სტანდარტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [www.libertycapital.ge](http://www.libertycapital.ge) დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს  
გენერალური დირექტორი  
ტელეფონი: +995 99 477 272  
ელ-ფოსტა: [lg@libertycapital.ge](mailto:lg@libertycapital.ge)

დამირი კასატკინს  
დირექტორის მოადგილე  
ტელეფონი: +44 77 860 28 700  
ელ-ფოსტა: [dk@libertycapital.ge](mailto:dk@libertycapital.ge)